საერთაშორისო დაცვა

იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა

თუ საერთაშორისო დაცვაზე აკეთებთ განაცხადს, გაეცანით ახალ წესებს, ვინაიდან ირლანდიამ 2026 წლის 12 ივნისს შეცვალა კანონი საერთაშორისო დაცვის შესახებ.

მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ თუ 2026 წლის 12 ივნისის შემდეგ აკეთებთ განაცხადს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით:



1. თქვენ გაქვთ უფლება, ისარგებლოთ იურიდიული კონსულტაციით;
2. ასევე გაქვთ უფლება, მოითხოვოთ უფასო იურიდიული დახმარება.

ორივე სერვისს უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების საბჭო.

რა არის იურიდიული კონსულტაცია?

იურიდიული კონსულტაცია გაწვდით ზოგად ინფორმაციასა და სახელმძღვანელო მითითებებს თქვენი განაცხადისგანხილვის პროცედურების შესახებ.

ის ასევე გვაწვდის მითითებებს განხილვის პროცედურის დროს თქვენი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, აგრეთვე გეხმარებათ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნისშესახებწერილობითიგანაცხადისშევსებაში.

იურიდიული კონსულტაცია არ არის იურიდიული რჩევა.



როგორ მოვიქცე, თუ იურიდიული რჩევა მჭირდება?

„იურიდიული დახმარება“ მოიცავს იურიდიულ რჩევას და სამართლებრივ წარმომადგენლობას. იურიდიული რჩევის მისაღებად შეგიძლიათ, გააკეთოთ განაცხადი იურიდიულ დახმარებაზე.

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ იურიდიული რჩევა, რომელიც დაგეხმარებათ განაცხადის წარდგენის პროცესში და მოგამზადებთ გასაუბრებისთვის.

იურიდიული დახმარება ასევე მოიცავს სამართლებრივ წარმომადგენლობას იმ შემთხვევაში, თუ თქვენს განაცხადზე საერთაშორისო დაცვის შესახებ მიიღებთ უარყოფით გადაწყვეტილებას და ისურვებთ ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას.

როგორ გავაკეთო განაცხადი იურიდიული დახმარების მისაღებად?

თქვენ შეგიძლიათ, წარადგინოთ განაცხადი იურიდიული დახმარების მისაღებად საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე.

იურიდიული დახმარების მოთხოვნისთვის შეგიძლიათ:

1. შეგიძლიათ, წარადგინოთ განაცხადი იურიდიული დახმარების მისაღებად იურიდიული დახმარების საბჭოს სიტივესტის იურიდიული კონსულტაციის სამსახურში (Citywest Legal Counselling Service), რომელიც მდებარეობს სიტივესტის მიღების ცენტრში (Citywest Reception Centre), სადაც აკეთებთგანაცხადსსაერთაშორისოდაცვისმოთხოვნით; ან
2. დაუკავშირდეთ იურიდიული დახმარების საბჭოს საერთაშორისო დაცვის სამართლის ნებისმიერ სპეციალიზებულ ცენტრს.

სპეციალიზებული იურიდიული დახმარების საბჭოს საერთაშორისო დაცვის სამართლის ცენტრების საკონტაქტო მონაცემების მოსაძიებლად ეწვიეთ იურიდიული დახმარების საბჭოს ვებგვერდს.